

შინაური საქმეები

№ 33.

ოთხშაბათი, ნოემბერი 24, 1910 წ.

ცალკე ნომერი ლი-ს 5 კაპიტალ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“
რედაქცია.

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაური: 1, ოთხშაბათი 24 ნოემბერს. 2, სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული —სანმანიანისა. 3, საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია?—მლ. იოან. ლუკიანოვისა. 4, ბუნება და ადამიანი—ტ. ჯაფარიძისა. 5, ლეონ ტოლსტოის წერილი. 6, მარტო მიწა, თუ სწავლა-განათლება?—ქ. გელოვანისა. 7, წაღმართულება—კ. წუთისოფელისა. 8, სიტყვა თქმული ჰოგნარის ეკლესიასა შინა, ეამსა სამწყსოსა შინა შესვლისასა—მღვდ. თომა დემეტრაძისა.

მომავალ 1911 წლიდგან. სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზ.

„შინაური საქმეები“

გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირიკობისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა.
გაზეთის წლიური ფასი ყველგან რუსეთში 3 მანეთი. ბ.ბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგვიგზავნონ.

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—ძაჯაკოვის შესახვევში № 17) და თფილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის უბნის მაღაზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულთს დასაბუჯად. ყოველგვარ განცხადებებს.

განისვენა დიდმა მწერალმა, მოწორ-და წუთისოფლის წინააღმდეგობას, სადაც მან ვერ შესძლო სიტყვა საქმისთვის შეეთანხმებია, მოძღვრება—აზრი განხორციელებია. მთელი მისი სიცოცხლე მოსაზრება, გეგმების შენება იყო, თუ როგორ საუკეთესოთ უდნა მოეწყოს ადამიანის ცხოვრება, მაგრამ ერთი საქმითაც, ერთი მცირე ნაბიჯითაც ვერც მან და ვერც მისმა ურიცხვმა თაყვანისმცემლებმა ვერ მოახერხეს ამ გეგმების განხორციელება. ამ ნაირად მოკვდა შეუურიგებელი წუთიერ ცხოვრებასთან და თან წაიღო მწარე რწმენა, რომ არც ისე ადვილია ცხოვრებაში თავის გეგმის განხორციელება, როგორც ამას ფიქრობს ადამიანი. ათას ნაირი ეჭვები გაიტანა განსვენებულმა ამ სოფლიდგან—ეჭვები, რომელთა სინამდვი-



ლის დამტკიცებას იგი ფიქრობდა თავის მრავალ ფეროვან ნაწერებში და რომელიც, მიუხედავად ამისა, ექვემდებარებოდა დარჩენ მრავალთათვის და თვით მისთვისაც პირადად. ნუ თუ ეს ექვემდებარებოდა მაინც, იმ სოფლის სინათლეში არ გაუფანტენ მას? ნუ თუ ეს მაინც ქვემარტება არ განშიშვლდა მის წინაშე? შეუძლებელია ადამიანის სულიერ მასწავლებლობა დაუკმაყოფილება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გრაფმა დღეს უკვე მიახწია ქვემარტებას, იცნო იგი. აქ მან არ დაუმორჩილა თავის მედიდური, ამპარტავანი გონება საღმრთო განცხადებას, რომელიც ინახება წმ. მართლმადიდებელ ეკლესიაში და ამით დაარღვია მასთან ერთობა, განეშორა ქრისტეს მოძღვრების ცხოველ მყოფელ სხივებს და სხვებიც ბევრი განაშორა, მოსწყდა ვენახს, ლელწი რომელიც ჰფიქრობდა თავისთავად გამოეღო ნაყოფი.

მოწყალე მსაჯულიმც ექმნეს მას ღმერთი!...



სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული.

ქრისტე და ბუდა.

(დასასრული¹).

(ბ. ივ. როსტომაშვილის წიგნაკის გამო).

ბუდას არ სწამს, უკეთ ვსთქვათ, არ ეჭირვება ღმერთი, ან უფრო უკეთ ვსთქვათ, განთავისუფლებული ბუდა თვით ღმერთია. ბუდას მოსაზრებით ადამიანს არ სჭირდება არავითარი მხსნელი, იგი თვით შეიძლება თავის დახსნას, თუ უარყოფს ყველაფერს. აი სწორედ აქ, ამ უღვთო მოძღვრებაში, ამ ადამიანის ყოველდღეობაში მარხია ზოგიერთთათვის ძალის თავი.

რადგან ბუდას ღმერთი არა სწამს,

¹ იხ. შინ. საქ. № 31.

ამიტომ ჩვენ მხოლოდ მის ზნეობრივ სწავლას შევხებით. თუმცა ზნეობრივი სწავლა უღვთოდ უნიადაგოა, თუმცა კანონს კანონმდებელი უნდა ჰყავდეს, რომელიც სავალდებულოდ ხდიდეს მის აღსრულებას, მაგრამ ვნახოთ მაინც რა წმინდა წყლისაა ეს უღვთო ზნეობა, ეს უკანონმდებლო კანონი.

ყოველივე ქვეყნიური, თვით ქვეყანა და სიცოცხლეც კი, ბუდას ბოროტებად მიაჩნია; მისი აზრით ადამიანი ქვეყანაზე ტანჯვის მეტს არაფერს განიცდის; „შრომა ტანჯვაა, სიბერე ტანჯვაა, ავადმყოფობა ტანჯვაა, ვინც არ გიყვარს, მასთან შეერთება ტანჯვაა, გაყრა სიყვარულთან ტანჯვაა, სურვილის შეუსრულებლობა ტანჯვაა,“ თვით სიყვარულიც, განცხროპით ცხოვრებაც და კმაყოფილებაც ტანჯვაა. ერთი სიტყვით სიცოცხლე ტანჯვაა და მეტი არაფერი. „რადგანაც სიცოცხლე მწუხარებით სავსეა, ამიტომ ტანჯვა მანამდე იქნება, სანამ ადამიანს სიცოცხლის სურვილი აქვს და ეძებს მის განახლებას.“¹) მაშასადამე ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ მოსპოს სიცოცხლე, როგორც ბოროტება და მით ბოლო მოუღოს თავის ტანჯვას. მაგრამ ბუდას თითქოს შეეშინდა ასეთი დასკვნისა, რომელიც, მიუხედავად ამისა, პირდაპირი შედეგია მისი მოძღვრებისა სიცოცხლეზე, შეეშინდა და ამიტომ მოიგონა საშუალო მდგომარეობა, მდგომარეობა, რომელშიაც ადამიანი ვერაფერსა გრძნობს, რომელშიაც იგი იქცევა უგრძობ ნივთად, მაგრამ მკვდარი კი არ არის. ეს მდგომარეობა, რომელსაც ბუდა „ნირვანას“ უწოდებს, არის ის ხსნა, რომელსაც იგი ჰქადაგებს. როცა ადამიანი დაჰკარგავს ყოველგვარ გრძნობიერებას, როცა იგი ვერაფერს ვეღარ არჩევს, როცა მისთვის ყველაფერი ერთია, აი სწორედ მაშინ არის იგი დახსნილი, მაშინ არის იგი გა-

¹) История религий Шантепи—де-ля—Сей. ч. I стр. 96.

ნათლებული, მაშინ არის ბუდდა. ცხოვრების ასეთ შეხედულობისაგან გაშომდინარეობენ ყველა ის ზნეობრივი კანონები რომლებსთვისაც ბუდდას აგენიოსებენ. თუ წყარო უწმინდურია ნაკადულიც, მისგან გადმოდანარე, უწმინდური იქნება. თუ თვით სიცოცხლე ბოროტებაა და სატანჯული, მაშ სხვაც ყველაფერი, რისგანაც იგი შესდგება კეთილი თუ ბოროტი, ავი თუ კარგი—ყველაფერი ბოროტებაა და სატანჯველი. და სწორეთ ეს აზრი დაამტკიცა ბუდდამაც თავის ცხოვრებით. იგი მფეე იყო, გარშემორტყმული ყოველივე ღიდეებითა და ფუფუნებით, და ჰყავდა მშვენიერი დამოყვარული ამხანაგი—მეუღლე. რადგან ასეთ ცხოვრებაში იგი ტანჯვის მეტს არაფერს ხედავდა, ამიტომ აირჩია წინააღმდეგი, უარ ჰყო სიმდიდრე, ცოლი, შვილი და იწყო გლახაკური ცხოვრება. ამ ცხოვრებაშიდაც ვერ ჰპოვა ბუდდამ სიკეთე, რადგან აქაც სიცოცხლისთვის, არსებობის სურვილისთვის მაინც ვერ დაეხწია თავი; ამიტომ მან მიმართა „ნირვანას“—არარაობას, სადაც სიცოცხლისა და განცხრომის წყურვილს ვეღარ გრძნობს ადამიანი. თქმა არ უნდა, რომ ამნაირ საქციელში, ამგვარ შეხედულებაში ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზნეობრივი არაფერია.

მთელი კოდექსი ბუდდას ზნეობრივი მოძღვრებისა ექსახურება ამ უკანასკნელ მიზანს ადამიანის ცხოვრებისას, ამ ნირვანას, ამ არარაობას. ადამიანმა რომ თავის დავიწყება შეიძლოს, ე. ი. ნირვანას მიაღწიოს, ამისათვის, ბუდდას აზრით, არსებობს რვა ბილიკი—1 წმიდა რწმენა, 2 წმიდა ნება, 3 წმიდა სიტყვა, 4 წმიდა საქმე, 5 წმიდა ცხოვრება, 6 წმიდა მისწრაფებანი, 7 წმიდა აზრი და ფიქრები და 8 წმიდა ჩახედვა თავის თავსა და ღუმიღებაში.

ბ. ივ. როსტომაშვილი ისე აყენებს საკითხს, ვითომ ეს სათნოებანი ბუდდას მოძღვრებით საჭირონი იყვნენ მისთვის,

რომ ადამიანებმა „დაიმორჩილონ სურვილები ბედნიერება—სიამოვნებაზედ.“ სრულებითაც არა. ესენი საჭირონი არიან მისთვის, რომ ადამიანებმა სწორედ ამ ბედნიერებას მიადწიონ, რომელიც არის „ნირვანა“. „ნირვანაც“ სხვანაირად ესმის ბ. როსტომაშვილს და არა ისე, როგორც ჩვენ ავხსენით ზემოთ და როგორც თვით ბუდდას ესმოდა; ბ. როსტომაშვილი აკეთილშობილებს ამ „ნირვანას“, უკეთრომ ვსთქვათ ქმნის თავის „ნირვანას“ და ბუდდას აწერს; იგი ამტკიცებს, ვითომ ბუდდას ნირვანა ცუდ აზრთა და გულის თქმათა განდევნაში მდგომარეობდეს და მეტი არაფერი. არა, ნირვანა ბუდდას აზრით სრული განდევნაა, როგორც ბოროტისა, ისე კეთილისა. ნირვანაში მყოფ ადამიანს არ ახალისებს არავითარი კეთილი და არ აწუხებს არავითარი ბოროტი, სადაც სიხალისეა იქ „ნირვანა“ აღარ არის, მით უფრო სადაც მწუხარებაა, სადაც კეთილისა და ბოროტის ცნობაა იქ „ნირვანას“ აღგილი არააქვს. ბ. ივ. როსტომაშვილი, ვიმეორებთ, განგებ აკეთილშობილებს, ასპეტაკებს ბუდდას მოძღვრებას, რომ დაუახლოვოს იგი ქრისტესას და ამით უკანასკნელს სიხალის სხივი დაუბნელოს, ე. ი. იღუმალა აზრი ბ. როსტომაშვილსა ის არის, რომ ქრისტეს ზნეობრივი სწავლა ბუდდას მოძღვრების შვილი გახადოს.

წმ. აზრი, წმ. გრძნობა და სხვა ბუდდას იმიტომ კი არ ეჭირება, რომ ამით ბედნიერება დამყარდება ქვეყანაზე, არა, ეს საჭიროა პიროვნებისთვის; ამას იმიტომ კი არ სჩადის ბუდდას მოძღვრების აღმსარებელი, რომ სხვისი სიკეთე აიძულებს, არამედ იმიტომ რომ თვით არ აღშფოთდეს, არ აღელდეს, რომ მით უფრო აღვილად მიახწიოს სრულ თავ-დავიწყებას. თუ ბუდდა კაცის კვლას არ ქადაგობს ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთი საქციელი თავისთავად ბოროტებად მიაჩნდეს, არამედ იმიტომ რომ ეს გამოიწვევს შინაგან

მღელვარებას და მაშასადამე ხელს შეუშლის „ნირვანას“—ადამიანის სრულ თავდავიწყებას. ბუდდას სიყვარული უფრო გულგრილობაა, ვიდრე სიყვარული. ბუდდა სხვას არ აწყენინებს იმიტომ კი არა, რომ მოყვასი უყვარს, არამედ იმიტომ რომ თავის თავი ებრალება. ბუდდა ცხოველსაც არ ეხება მოსაკლავათ არა იმიტომ, რომ მას ცხოველი ებრალება, არამედ იმიტომ რომ მისი სიკვდილი თავის სიკვდილს მოაგონებს და აღაშფოთებს, რაც თავისთავად ხელს შეუშლის სრულ თავდავიწყებას, „ნირვანას“.

ბუდდას არ აქვს განრჩევა ბოროტსა და კეთილ შორის. უკეთ რომ ვსთქვათ ბოროტიც და კეთილიც ორივე ბოროტია ბუდდისტისთვის, რადგან ისიც და ესეც ხელს უშლის ადამიანის სრულ თავდავიწყებას.

სრული განუსაზღვრელი გულგრილობა ყველაფრისადმი—აი პრინციპი ბუდდას ზნეობისა, თუ შეიძლება ამას ზნეობა ეწოდოს.

რაიცა შეეხება ზემოთ აღნიშნულ შვიდ ბილიკს, ესენი მხოლოდ ღამაში სიტყვებია ბუდდას მოძღვრებაში და არაფერი მნიშვნელობა არ აქვს ცხოვრებაში. ნურც არაფერს წაახდენ და ნურც არაფერს გააკეთებო, აი მათი აზრი; განეშორე ყოველივეს, ნურაფერი აგაშფოთებს და ნურც არავის ააშფოთებ, იცხოვრე ისე, ვითომ არც კი ცხოვრობდე, ვითომ შენ გარშემო არავინ არსებობდეს. ნუგაგახარებს ადამიანის ბედნიერება და ნურც მის უბედურებაზე შესწუხდებიო. დაივიწყე შენი პირადი ბედნიერება—უბედურებაცაო.

აი ზედმიწევნით მორალი, რომელიც გამომდინარეობს ბუდდას მოძღვრებიდან და ასეთ მოძღვრების შემოქმედს ამკობენ ამ სიტყვებით: „ბევრი ბრძენი და მოაზრე მოვლენია კაცობრიობას თავისს ხანგრძლივ ცხოვრებაში, მაგრამ განათლებული ბუდდა უდიდესია“—ო.

ბუდდას მოძღვრებას არაფერი სიკეთე არ მოუტანია თავის სამშობლოში. ამ მოძღვრების მიმდევარი ხალხი ისევ პირველყოფილ მდგომარეობაშია და თუ ბუდდას მოძღვრება დარჩა მის ცხოვრების პრინციპად, ვერც დაახწევს თავს ამ მდგომარეობას. თუ ასეთ მდგომარეობაში უნდათ ჩაადგონ ქრისტიანულ კულტურულათ განვითარებული ხალხი და ეს არის უმაღლესი იდეალი ჩვენი მისწრაფებისა, მაშინ ჩვენც დავემოწმებთ ბ. ივანეს, რომ „ბუდდა უდიდესია“....

სანმანიანი.



საჭიროა, თუ არა კაცისათვის რელიგია?

გაგრძელება¹⁾.

რელიგია არამც თუ საღმრთო თვისებას აძლევს უფლებას, არამც თუ სწმინდას და აპატიოსნებს დამორჩილებას, არამედ აძლევს აგრეთვე ძალას კანონებს, უნერგავს მათ კაცის სვინილისში და ცხოვრებაში გაჰყავს იგინი; ამნაირად იგი შეადგენს კაცისთვის ზნეობრივ კანონს.

ტყუილად იქნებოდნენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები, რომ ისინი მარტო კაცის ნებას გამოხატავდნენ და შეადგენდნენ ვალდებულობას მხოლოდ კაცის წინაშე, და არა ღვთის წინაშე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეს კანონები ხშირად დაირღვეოდნენ. რამდენი დაფარული დანაშაული იქნებოდა მაშინ! მაგრამ, რაკი კანონები ნაკურთხია რელიგიისაგან, და ღვთის ნებას გამოხატავენ, რაკი ისინი ვალდებულ ჰყოფენ კაცს მისი სვინილისის წინაშე, მაშინ კანონებს ყველგან და ყოველთვის მეტი ძალა აქვთ. ეს კარგად ესმოდათ ძველ კანონის მდებლესაც—ლიკურგს და ნუმას, და იმიტომ გამოაცხადეს თავითიანთ კანონები, როგორც

¹⁾ იხ. შინ. საქ. № 32.

ღვთის უფლებით განწმენდილი და უსათუოდ სავალდებულოდ.

თუ გარეგან კანონებს—შინაგანი, სინი-
ლისის კანონი არა აქვთ სარჩულად, მაშინ
საკმარისი ძალა არ ექნება მათ მაშინაც—კი,
როდესაც იმათ ყველანი სასტიკად ემორჩი-
ლებიან. ისინი მხოლოდ გარეგნულად აწესი-
ერებენ ჩვენ საზოგადოებრივ მოქმედებას;
ისინი ვერ ჩასწვდებიან სულის სიღრმეს, რომ
იქიდან ფესვიანად ამოგლიჯონ ბოროტება.
• მხოლოდ ზნეობრივ კანონს შეუძლიან ჩასწვ-
დეს ჩვენი სულის სიღრმეს, მოიყვანოს წესი-
ერებაში ჩვენი აზრები, ჩვენი გრძობები,
ცულ საქციელს აგვაცდინოს და კეთილ მიდ-
რეკილობაზე დაგვაყენოს. ზნეობრივი კანონი
შეადგენს სულს საზოგადოებრივი კანონმდებ-
ლობისას: იგი ჰქმნის წმინდანებს, მართლებს,
საიდგან იღებს ზნეობრივი კანონი ასეთ უფ-
ლებას და ძალას?—მხოლოდ რელიგიისაგან.
რელიგია რომ არ ემუქრებოდეს დამნაშავეს
საუკუნო ზნეობრივი სატანჯველით, სინილი-
სის ქენჯნით; იგი რომ არ ასაჩუქრებდეს კე-
თილ საქმეს საუკუნო ნეტარების აღ-
თქმით,—მაშინ რა საჩუქარს მოელოდებოდა
კაცი თავის მოვალეობის აღსრულებისათვის,
და რა სასჯელს—მოვალეობის დარღვევისა-
თვის!

თუ საიქიო ცხოვრების მოლოდინს არ
შეეძლება კაცის ცული საქციელის დაქვრა,
მაშ აბა სხვა უფრო რა შეიძლება ამას? სა-
ზოგადოებრივი აზრი ხომ არა, ან თავისმო-
ყვარება? მაგრამ რა არის საზოგადოებრივი
აზრი, თუ—კი ჩვენ იგი გვეზიზღება? ბრძენ-
ბი მას ყოველთვის უგულვებელს ჰყოფდნენ.
რა არის ღიღება?—უბრალო სიტყვა; მას არ
შეუძლიან სამაგიერო საჩუქარი მისცეს კაცს
მის ნაკლებულობისა და წვალებისათვის, რო-
მელსაც იგი განიცდის ზნეობრივ კანონის
ყველა ზოთხოვნისათვის აღსრულების საქმე-
ში. ხშირად ხდება, რომ ბიწიერება უფრო
მომეტყუელ პატივ-ცემაშია, მინამ სიკეთე.
რას ნიშნავს ჩემთვის საზოგადოებრივი აზრი,
თუ—კი მე ჩემით არ შემიძლიან წინაღუდგე
ჩემ ცულ მიდრეკილებას! საზოგადოებრივ
აზრს მე უგულვებელვყოფ; მას არ შეუძლიან
მე ჯანმრთელობა წამართვას, არც სიმდიდრე,
არც სიამოვნება. ესეც რომ არ იყვეს, განა
არ შემიძლიან შეცდომაში შევიყვანო საზო-
გადოებრივი აზრი, ჩემის ცული საქმეების და-
მალვით; მაგრამ რის დამალვაც შეიძლება

ხალხისაგან, იმის დამალვა არ შეიძლება სინი-
ლისისაგან. ზნეობრივი კანონის დარღვევისა-
თვის სინილისის ქენჯნა ყველგან დასდევს
კაცს, აგრეთვე ყველგან დასდევს კაცს სია-
მოვნება კეთილი საქმის გაკეთებისათვის. მაგ-
რამ ყოველივე ეს არაფერია, თუ არ არის
ღმერთი; სინილისი არაფერია, თუ იგი არ
არის ხმა ღვთისა. სინილისის ქენჯნა ამ შემ-
თხვევაში მხოლოდ ცრუმორწმუნოებაა, და
არა ჯოჯოხეთის დასაწყისი; აგრეთვე სიამო-
ვნება კეთილი საქმის გაკეთებისაგან არაფერია,
თუ იგი არ არის საუკუნო ნეტარების დასა-
წყისი. როგორ უნდა მივიჩნიოთ ბედნიერე-
ბად შიმშილი, წყურვილი, ავადმყოფობა,
რომლებსაც ჩვენ განვიცდით სხვის საკეთილ-
დღეოდ, თუ ამისთვის ჩვენ არ მოველით სა-
უკუნო ნეტარებას? თუ არ არის უმაღლესი
კანონის მდებელი, თუ არ არის საიქიო ცხოვ-
რება, მაშინ კაცს ექნება მხოლოდ ერთად
ერთი მიზანი,—რაც შეიძლება მეტი სიამო-
ვნება და ბედნიერება გამოსცადოს ამ ქვეყანა-
ზე. რათ უნდა იმას მაღალი ფრაზები, მშვე-
ნიერი მსჯელობანი კეთილ საქმეებზე, თუ—
კი ესენი მის კერძო ინტერესებს ავნებენ?!

მაგრამ,—ამბობენ მოწინააღმდეგენი,—
თუ ზემოთ-მოყვანილ მიზეზებს ვერ შეედლოთ
აქედლებინათ ხალხი ზნეობრივი კანონის პა-
ტივისცემისადმი წინანდელ უვიც ღროში,
მით მომეტებულად არ შეუძლიანთ ჩვენს გა-
ნათლებულ საუკუნეში. განათლება ჩვენში
გავრცელებულია ყველგან. არ უნდა იმას
ლაპარაკი, რომ ეხლა ბევრი ცოდნა აქვს
ხალხს მათემატიკისა და ბუნებისმეტყველე-
ბისა. მაგრამ ეს ცოდნა საკმარის არ არის ზნე-
ობრივი კანონის ასასრულებელად. გეომეტ-
რიულ ტეორემას არ შეუძლიან დაიჭიროს
ბიწიერება. განათლება არის იარაღი როგორც
სიკეთისა, ისე ბოროტებისათვის. განათლება
ანვითარებს გონებას, მაგრამ არ მოქმედობს
გულზე. ამნაირათ, ხშირად ხდება, რომ განა-
თლებული კაცი ღიღი ბოროტის მოქმედია.
მხოლოდ რელიგიით შეუძლიან კაცს მისწვ-
დეს ზნეობრივ განვითარებას, მხოლოდ რელი-
გიით ღებება კაცის გული.

რელიგია გვასწავლის, რომ კაცი სცხოვ-
რობს, პირუთენელი მსაჯულის, განუსაზღვრე-
ლად სამართლიანი ღვთის მხედველობის ქვეშ,
რომელიც აძლევს სიკეთისთვის ნეტარებას,
ხოლო ბიწიერებისათვის—საუკუნო სატანჯ-
ველს. ისტორია მოწმობს, რომ რამდენათაც

მომეტებულათ გავრცელებულია რომელიმე ხალხში რელიგია, იმდენათ მდიდარია იგი ხალხი კეთილი საქმეებით. რომის სახელმწიფო იყო მომეტებულათ კეთილის-მოქმედი ხალხისათვის ცეზარების დროს, რადგანაც მაშინ რელიგია დიდად გავრცელებული იყო იქ; ხოლო როდესაც ხალხს გული გაუგრილდა რელიგიაზე, რომიც თანდათან უკან წავიდა.

ამაირათ, უნდა დავთანხმდეთ, რომ ზნეობრივი კანონი ურელიგიოდ წარმოადგენს შენობას უსაძიკველოდ, კანონის მდებლობას უკანონისმდებლოდ. მონტესკიე მართალი იყო, როდესაც სთქვა: „რელიგია რაც უნდა შემტდარი იყვეს, მაინც წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას კეთილი საქმისათვის“. რელიგია არის საფუძველი საზოგადოებისა, საზოგადოებას არ შეუძლია უღვთოთ არსებობა.

ჩვენ უნდა ვსთქვათ კიდევ ერთ თეორიაზე. რელიგია უნდათ გათიშონ სახელმწიფოსგან. მოსპობა ღვთის სასუფეველისა საზოგადოებაში, სრული განყოფა ღვთისა და საზოგადოების შორის, ათეიზმი კანონებში და სოციალურ მართველობაში—აი ამ დროში რას ჰქვიან პროგრესი და რელიგიური თავისუფლება.

მოაზრე ადამიანი ადვილათ გააჩევეს სრულს სიყალბეს ამ ახალ განყოფაში რელიგიისა სახელმწიფოსგან და მიხვდება იგი, რომ ეს არის ნიშანი საზოგადოების დაცემისა. სახელმწიფოსგან ეკლესიის გაყოფის ქადაგებაში ჩვენა ვხედავთ ძალადობას ერთი მუჟა თავხედი ათეისტებისას ხალხის უმრავლესობაზე. მართლაცა და, საზოგადოება არ არის რაიმე განყენებული—ეს ზნეობრივი სიდიადეა,—რეალური არსებაა. თუ—კი მისი წევრები მორწმუნენი არიან, და უნდა იყენენ კიდევც ასეთები, მაშ როგორღა შეუძლიანთ იმათ შეადგინონ არა რელიგიური—ურწმუნო—მთელი? ღმერთს, როგორც შემოქმედს სამოქალაქო საზოგადოებისას და ოჯახისას, განა არ ეკუთნის იმათგან გამოცხადება სიყვარულისა და ერთგულობისა? ეს ისტორიის მოწმობით, აღიარებულია ყველა ხალხისაგან, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ.

ღმერთმა რომ საზოგადოებაზე ხელი აიღოს და მიანდოს იგი თავის თავს, როგორც ეს უნდა ზოგიერთს, განა ეს საშინელი უბედურობა არ იქნებოდა საზოგადოებისთვის? სადღა იქნებოდა მაშინ უფლება, წესიერება, ხალხის სიამაყე და თავისუფლება? „თუ ხალხს

უნდა თავისუფლება,—ამბობს ტოსკვილი,—საქიროა, რომ ამას ჰქონდეს წმინდა სარწმუნოება, ხოლო თუ საზოგადოებას არა სურს ეს სარწმუნოება, მაშ დაე იგი მონობაში დარჩეს“. თუ—კი ღვთაებრივი უნდა გამოირიცხულ იყვეს საზოგადოებიდან, მაშ რატომ აღარ უნდა მოისპოს საზოგადოებაში საკუთრება? და თუ ჩვენთვის საკუთრების უფლებასაც არ ექნება წმინდა მნიშვნელობა, მაშ ხომ არ მივახლოვებულვართ ჩვენ უგლი მი სოციალიზმის დღესასწაულთან? ძველ დროში კარგად ესმოდათ საქირობა რელიგიის და საზოგადოების ურთიერთობისა. როდესაც იმათ უნდოდათ გამოეთქვათ მწუხარება უბედურობის გამო, ისინი ამბობდნენ: „ღმერთები განვიდენ ჩვენგანო“.

მღვდ. იოანე ლუკიანოვი.

(შემდეგი იქნება).



ბუნება და ადამიანი.

თუ გადავავლებთ თვალს კაცობრიობის არსებობის ისტორიას, დავინახავთ, რომ ადამიანს უხსოვარის დროიდანვე აინტერესებდა მისი გაგება, თუ რა არის ქვეყნიერება და ცხოვრება. ადამიანი აძლევდა თავის თავს ისეთ კითხვებს, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელი მოთხოვნილება იყო ადამიანის ბუნებისა. ეს კითხვები, თუმცა ყოველთვის ასე თუ ისე ჰქონდა კაცობრიობას ახსნილი, მაგრამ ვინაიდან სრული ქვეყნიერების ნახვა ძნელი იყო, ამიტომ საბოლოოთ გადაწყვეტილი ეს კითხვები არასოდეს არ იყო და დღესაც ადამიანი ამის კვლევა-ძიებაში ლაფავს სულს. ეს კითხვები დღესაც ცხადათ უზის წინ ადამიანის გონებას. ეს კითხვებია შემდეგი: რა არის ცხოვრება? რა არის ადამიანი? რა არის ქვეყნიერება? რა აზრი აქვს ჩვენს სიცოცხლეს და სხვა ასეთები. ეს კითხვები საყვარელი არის განმარტებული და ახსნილი ქრისტიანულ მოძღვრებაში და ვინც სარწმუნოებით მას არ ღებულობს, მისთვის ამ კით-

ხვედის ახსნა დღესაც საძებარია და მეცნიერება ჯერ ვერ აკმაყოფილებს კაცს. ეს კითხვებია წამოყენებული ადამიანის გონებისაგან და ცნობისმოყვარეობა—ეს თანშობილი თვისება ადამიანისა, მოითხოვს, რომ ასე თუ ისე ეს კითხვები აიხსნას. უხსოვარის დროიდგან მუშაობს ადამიანი გონებრივად და ფიზიკურად და სურს ეს კითხვები ახსნას და თავი დაიკმაყოფილოს. მართლაც ისტორიაში იყო ისეთი ხანა, როცა ეს კითხვები ასე თუ ისე იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ზოგს აკმაყოფილებდა ეს გარემოება და ზოგს არა; დღესაც ყველას აინტერესებს ეს კითხვები და ეძებენ ნამდვილს პასუხს. მეცნიერება ცდილობს საფესებით ახსნას ეს კითხვები და ამით დააკმაყოფილოს სულიერი სურვილი ადამიანისა. მართლაც, რა არის ჩვენი არსებობა და რა ფაქტი აქვს ჩვენს ყოფნას, თუ არ ვიცით ვინ ვართ და რა ვართ, საიდან მოვედით და საით მივდინართ, რა კვალი რჩება ქვეყნათ ჩვენი არსებობისა, და რა იყო წარსულში და რა იქნება მომავალში? რამდენათც საინტერესოა ამ კითხვების გადაწყვეტა, იმდენათ ძნელია კაცისათვის ამის ასრულება, მაგრამ მიახლოებით რომ გაიგოს კაცმა ცხოვრების შინაარსი, ამისათვის საჭიროა მან შეისწავლოს ის, რაც დღემდე შეუძენია კაცობრიობის გონებას და ამგვარად წარსულის შემწეობით აწმყო და მომავალსაც გამოარკვევს. აქვე უნდა ვაღვიაროთ, რომ მეტი ძნელია მომავლის გაგება, მით უმეტეს რომ წარსულიც არაა საფესებით გამოარკვეული და ერთმა მეცნიერმა სამართლიანათ სთქვა: „ეხლანდელის გასაღები მომავალს ეკუთვნისო“ (Ключь настоящего принадлежит будущему); ესე იგი ეხლანდელი ცხოვრება ჩვენთვის წარმოადგენს კლიტეს და ამის ახსნა ანუ გაღება მომავალ დროში შეიძლება. თუ ეს ასეა, ჩვენ მარტო წარსულის გაგება შეგვძლება და აწმყო-მომავალზე კი ხელი უნდა ავიღოთ. ზემოთ მოყვანილი სიტყვები სრული სიმარტლეა თუ ვიგულისხნებთ ეხლანდელი ცხოვრების საფესებით შეგნებას ანუ ქეშმარიტების სრულიად დასახვას, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ

მიახლოებით ცოდნას ადამიანის არსებობის წარსულ ისტორიას—ეს შესაძლებელია და ამიტომ წარსულის შესწავლით დღევანდელს უკეთ გავიგებთ და დღევანდელის შესწავლით მომავალსაც წარმოვადგენთ. ეს მით უმეტეს შესაძლებელია რომ ცხოვრება უბრალო თამაში არ არის და არც უაზროთ და უკანონოთ მოქმედებათა ტრიალი; ცხოვრება არის რთული მოვლენა და ემორჩილება უცვლელ და განსაზღვრულ კანონებს. აი ეს კანონები თუ აღმოაჩინა კაცმა და შეისწავლა, მერე შეუძლია საქვას, რომ ცხოვრებას ვიცნობ და მისი მიმდინარეობა მესმისო. რომ საფესებით გავიგოთ რა არის ცხოვრება ან რა კანონებს ემორჩილება იგი თავის განვითარებაში, ამისათვის საჭიროა გამოვარკვეოთ და მკაფიოთ წარმოვიდგინოთ, რა არის ბუნება და რა არის ადამიანი, რა დამოკიდებულობაა ბუნებასა და ადამიანს შორის, რა ადგილი უჭირავს კაცობრიობის ცხოვრებაში ბუნებას და ადამიანს? ეს კითხვები ძირითადი კითხვებია მეცნიერებაში და მათზე დამოკიდებულია ბევრი სხვა საინტერესო და საჭირო კითხვები. ამ კითხვებზე ფიქრობდა კაცობრიობა ძველათ და ბევრმა შესანიშნავმა მეცნიერმა იშრომა ამათ გადასაწყვეტათ. ოუმცა ეს კითხვები საფესებით გადაწყვეტილი დღესაც არ არის მეცნიერებაში და მათ შესახებ კიდევ ბევრი მუშაობს და სწერს და ვინ იცის კიდევ რამდენი რა დაიწერება, მაგრამ მე მსურს მკითხველს გავაცნო რამდენიმე აზრი ამ ძირითადი საკითხების შესახებ.

ბუნებასა აქვს დიდი გავლენა ადამიანზე და მისი ცხოვრების ყოველ მხარეზე. ავიღოთ მაგალითად ადამიანის გარეგნობა ანუ ფიზიკური მხარე ადამიანის ბუნებისა. იმ ქვეყნებში, სადაც ცხელი ჰავაა ადამიანს ხორცის კანი შივი ფერისა აქვს და თმა მაგარი; იმ ქვეყნებში კი სადაც ზომიერი ჰავა არის, ან ცივი, ადამიანს ხორცის კანი თეთრი აქვს და თმა რბილი. თბილ ქვეყნებში ადამიანი მალე იზრდება და მწიფდება, თანაც მალე ხუცდება, ცივ ქვეყნებში ადამიანი გვიან იზრდება, მწიფდება და გვიანაც ხუცდება. მაგალითად, რუ-

სეთში საოჯახო მომწიფებულ ასაკში ითვლება 18 წლის ვაჟი და 15 წლის ქალი, კავკასიაში— 15 წლის ვაჟი და 13 წლის ქალი, სხვა ქვეყნებში კი 10 წლის ვაჟი და 8 წლის ქალი. აქედან ცხადია სწავლის ჰაერის გავლენა ადამიანის ტანზე და მის სიმწიფეზე.

მთავარი ადგილებში ადამიანი ფიზიკურათ უფრო ღონიერია, მიტომ რომ აღმართ-დაღმართ სიარული უფრო უვარჯიშებს და უმავრებს მას კუნთებს (მუსკულს), აგრეთვე გულ-მკერდი ხშირი და ძლიერი სუნთქვისაგან უფრო განვითარებული აქვს მთავარი ადგილებში მცხოვრებლებს, ვიდრე ვაკე ადგილებში მცხოვრებლებს. ეგვე უნდა ვსთქვათ მხედველობის შესახებ. მთავარებში მცხოვრები ადამიანის მხედველობა უმფრო საღი და მახვილია, ვიდრე ვაკე ადგილებში მცხოვრები ადამიანისა. ეს ასეც უნდა იყოს, მიტომ რომ ვაკე ადგილებზე მცხოვრები ადამიანი იყურება გარშემო და ხედვის დროს მისი თვალი საზღვარს ვერ ნახულობს; რადგან თვალი საზღვარს ვერ ხედავს, ამიტომ არ იჭინთება და არც მავრდება. მთავარაში მცხოვრები ადამიანის თვალი კი ყოველთვის გარშემო საზღვარს ხედავს; ის წერტილი, რომელიც საზღვარი თვალისთვის, ნიადგ მიიქცევა ადამიანის მხედველობას და ამგვარად თვალი ნიადგ იჭინთება, ეს ჭინთვა თვალს ავარჯიშებს და ამით თვალი მავრდება და ადამიანს საღი მხედველობა უხდება. ამის მაგალითებს, შორს რომ არ წავიდეთ, აქვე შევხვდებით. კავკასიაში მცხოვრებთ რომ დაუკვირდეთ დავინახავთ, რომ რაჭველები, სვანები და ოსები უფრო ღონიერი და შრომის ამტანი არიან, მასთან უფრო საღი მხედველობის მექონი, ვინემ მცხოვრებნი ქვემო იმერეთსა ან გურია-სამეგრელოში.

ბუნებასა აქვს დიდი გავლენა ადამიანის მუშაობაზე ანუ შრომაზე. უმთავრესი შრომა ადამიანისა ქვეყანაზე საზრდოს მოპოებაზე მიმართული. საზრდოს ადამიანი სწორეთ ისე შოვობს, როგორც ბუნება უწყობს ხელს. იქ სადაც თბილი ქვეყანაა, ნოყიერი მიწა და ადვილათ დასამუშავებელი ნიადაგი, ადამიანი

მიწის მუშაობით ირჩენს თავს; იქ სადაც ბევრი მდინარეებია ან ზღვა არის ახლოს, ადამიანი მეთევზეობით ირჩენს თავს; იქ სადაც მთავარებია და ტყეები, რბილი მიწა კი ცოტაა — ადამიანი ნადირობას და ვაჭრობას მისდევს და საზრდოს ამით შოვობს; სადაც შეერთებულია ბუნების ზემოთაღნიშნული პირობები, იქ კი ადამიანი ბევრნაირათ შრომობს და სხვა და სხვა წყაროებით ირჩენს თავს.

თვით საზრდოს ვითარება ანუ რაოდენობა ბუნებაზეა დამოკიდებული. იქ სადაც ცივი ქვეყნებია ადამიანი საზრდოთ ხმარობს ქონს, ხორცს, რძეს, კვერცხს და სხვა მყიერ ნივთიერებას, ხოლო თბილ და ცხელ ქვეყნებში ადამიანი ბალახით (ბოსტნეულ, ფხალი და სხვა) და ხილით საზრდობს. ეს ასეც უნდა იყოს და აი რატომ. ადამიანმა რომ იცოცხლოს და მის ტანში სასიცოცხლო მოძრაობა იქნეს, ამისათვის უსათუოდ საჭიროა მეტი სითბო, სითბოს კი ადამიანი ღებულობს ჰაერისაგან და სასმელ-საჭმლისაგან. ცივი ქვეყნებში რადგან ჰაეა ნაკლებ სითბოს აძლევს, ამიტომ კაცი იძულებულია მეტი სითბო მიიღოს სასმელ-საჭმლისაგან. სითბოს მომცემი საჭმელი კი უმეტეს ნაწილათ ქონი, ერბო და საერთოთ ხორცეულობაა, სასმელებში კი ოტკა და სპირტი. რაც შეეხება ხილს და ბალახს (წვანილი, ფხალი და სხვა.) ეს გრილი ნივთიერებაა და ამიტომ მარტო ანით საზრდობა შეუძლია ადამიანს ცხელ ქვეყნებში და კავკასიის ზოგიერთ ნაწილებში. საყურადღებოა ისიც, რომ ცივი ქვეყნებში ღლეში სამჯერ ოთხჯერ უნდა სჭამოს კაცმა საჭმელი და თბილ ქვეყნებში ერთჯერ თორემ ორჯერ მაინც კმარა. აქაც ცხადია ჰაერის გავლენა ადამიანზე.

საცხოვრებელ ბინასაც ადამიანი ბუნების და მიხედვით იკეთებს. ცივი ქვეყნებში კაცს სჭირდება თბილი ბინა და თბილი ტანსაცმელი, თბილ ქვეყნებში კი კარვებში და ფარდულეებში ცხოვრობს ადამიანი წლითი წლამდე და მსუბუქ ტანისამოსს ატარებს.

ბუნებასა აქვს დიდი გავლენა ადამიანის აზროვნებაზე. ამის მაგალითები ხშირია ისტორიაში; ავიღოთ: თუნდა ეგვიპტელების აზ-

როვნება. ეგვიპტე მდებარეობს აფრიკაში, იქ, სადაც ჩადის მდინარე ნილოსი. ეგვიპტეში დრო გამოწვებ ხშირი წვიმები მოდიოდა. ამის გამო მდინარე ნილოსი ძლიერ მოიმატებდა ხოლმე, გადმოვიდოდა ნაპირებზე და თითქმის ორივე მხრით მთელ ქალებს მოივლიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალი კალაპოტში ჩაეარდებოდა და ქალებში დასტოვებდა ლექს, რომელიც დიდ ნოყიერებას აძლევდა მიწას. მცხოვრებნი დახნავენ ამ ქალებს და დიდ მოსავალს მოიყვანდნენ. ეგვიპტე უდაბნო იყო და თუ არა ნილოსის წყალობა იქ არავითარი მოსავალი არ მოვიდოდა. ეგვიპტელების სიცოცხლე და საზრდოობა ამგვარათ დამოკიდებული იყო მდინარე ნილოსზე, ეს ცხადათ იყო აღბეჭდილი ეგვიპტელების შეგნებაში და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნილოსი იყო ერთად ერთი წყარო ცხოვრებისა და საზრდო მათთვის. ეს რწმენა ეგვიპტელებმა გამოხატეს სიმღერებში და სარწმუნოებრივ საგალობლებში, სადაც ასეთ სიტყვებს შეხვდებით: „ნილო!, ჩვენო ღმერთო, ჩვენო დედა, ჩვენო იმედო, მფარველო, მრჩენელო“... ამ გარემოებას ის გავლენა ჰქონდა ეგვიპტელების აზროვნებაზე, რომ, როცა იქ ფიქრობდნენ ფილოსოფიურ კითხვებზე და იკვლევდნენ იმგვარ კითხვებს, როგორც ზევით მოვიყვანეთ, მაგალითად, რა არის ქვეყნიერება, როგორ წარმოიშობა ცხოვრებაო და სხვა ასეთები, ეგვიპტელებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ქვეყანაზე ყველაზე უფრო ძლიერი სტიქია არის წყალიო, წყალი დასაწყისია ცხოვრების და მისგან წარმოიშობა ყველაფერიო თუმცა ფილოსოფიის ისტორიაში¹⁾ აღიარებულია, რომ ასეთი შეხედულება ფალსმა (ჩამომავლობით ბერძენმა) გამოსთქვა პირველათო, მაგრამ ბოლოს მეცნიერულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ფალსს ეს შეხედულება ეგვიპტელებისაგან გაუგია და შეუთვისებია. ზემოთმოყვანილი მაგალითები და მათი ასეთები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ბუნებას დიდი გავლენა აქვს კაცის აზროვნებაზე და ბუნება აძლევს, როგორც მა-

სალას, ისე მიმართულებას ადამიანის აზროვნებას, ავიღოთ მეორე მაგალითი ისევე ეგვიპტელების ცხოვრებიდან. ეგვიპტელებმა გამოიგონეს საგანი გეომეტრია. აქაც ბუნების გავლენის ძალაა და მიზეზი კი ისევე მდინარე ნილოსის მოდილება და ნაპირების წალეკვა იყო აი ამნაირათ. ნილოსის გვერდით მდებარე ადგილები ეგვიპტელებს დაყოფილი ჰქონდათ თემანეთსშორის და შესაფერი ნიშნებით (სამწებით, ჯოხებით...) იყო აღნიშნული სამძღვრები, მაგრამ როცა ნილოსი მოდილდებდა და გადაივლიდა ნაპირებს, წალეკდა ყველაფერს და საზღვრებს სრულიად მოსპობდა. როცა წყალი ისევე კალაპოტში ჩადებოდა, ადგილები ხელახლა უნდა გაეყოთ და რადგან ეგვიპტეში მიწის ვიწროობა იყო და საზრდოს მოსაყვანათ კი მარტო ნილოსის ნაპირები ვარგისო დაყოფის დროს ცდილობდნენ დიდი სისწორე და სამართლიანობა დაეცვათ, ამისათვის საჭირო იყო მტკიცე და ნამდვილი ანგარიში ზომაში, აი ამგვარათ იძულებული იყვენ გამოეგონათ გეომეტრია.

დიდი გავლენა აქვს ბუნებას ადამიანის ხასიათზე. სადაც ჰავა კარგია და ბუნება მდიდარი სხვა და სხვა სურათებით, იქ ადამიანი უფრო მხიარული და ჩქარი ხასიათის არის, სადაც ჰავა ცუდია, და ბუნება ღარიბი, იქ ადამიანი უფრო მოწყენილი ხასიათისაა. შევადაროთ თუნდა ინგლისი და კავკასია. ინგლისში წელიწადში მინ დღიდან 69 დღე არის მოწმენდილი ამინდი, მეტი არა, სხვა დროს სულ ღრუბლიანი, წვიმიანი, ნისლიანი და არეული ამინდია და ამიტომ ხალხიც რაღაც დაღვრემილი ხასიათისაა. კავკასიაში კი წინააღმდეგ 69 დღე თუ იქნება ცუდი ტაროსი და ამიტომაც აქ ხალხი მხიარული ხასიათისაა, ასე რომ არ იქნება შეცთომა თუ ვიტყვით, რომ სხვა მიზეზთა შორის ბუნების სიმდიდრესა და ჰავასაც აქვს გავლენა ადამიანის ხასიათზე. თუ დაუკვირდებით, ამას კაცი თვითგამოცდილებითაც მიხვდება. ეს გარემოება კიდევ უფრო ცხადი და თვალსაჩინო იქნება, თუ წარმოვიდგინთ, რომ ზოგიერთი ავანტყოფობა, როგორც მაგალითად ქარები (რევმატიზმ) შეეკავში-

¹⁾ Виндельшандль, История древней философии, стр. 40.

რებულია ამინდთან და ცუდი ტაროსი ავანტყოფობას აღვიძებს; ექვს გარეშეა, რომ ეს გარემოება კაცის ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს.

ბ. ჯაფარიძე.

(შემდეგი იქნება).



ლეონ ტოლსტოის წერილი.

მღვდელმა ს—მ ამ ახლოხანში მიიღო გრაფისაგან შემდეგი სურვილი (ЛЮДИПЫТНЫЙ) წერილი:

„მივიღე თქვენი წერილი, საყვარელო ძმო ივანე ილას-ძვე, და სიამოვნებით გადავიკითხე. იგი მთლათ სავესეა ქრისტიანული პირუთვნელი სიყვარულით, და ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის.

ერთ არაბულ პოემაში შემდეგი მოთხრობაა მოყვანილი: როცა უდაბნოში მოგზაურობდა, მოსეს მწყემსის ლოცვა შემოესმა: „პოი უფალო, როგორ შევძლო რომ შენამდე შოვიდე, შევიქმნე შენი მონა. როგორი სიხარულით გბანდი, გაცმევდი და გიკოცნიდი ფეხებს, გვარცხნიდი თავს, გირეცხდი საცვლებს, ვალაგებდი შენ სამყოფელს, გიზიდავდი რძეს ჩემი ჯიგოდან. შენი სურვილით სავესეა ჩემი გული“.

როცა ასეთი საგმობი სიტყვები გაიგონა, მოსე გარისხდა და უთხრა მწყემსს: „შენ ჰგობ: ღმერთი უსხეულოა. მას არ ესაქიროება არც ტანთსაცმელი, არც სამყოფელი, არც მოსამსახურე. შენ ცუდად ლაპარაკობ“. მწყემსს გულს შემოეყარა. არ შეეძლო მას ღმერთი უსხეულოთ და სხეულის მოთხოვნილების გარეშე წარმოედგინა, და ვედარ შეიძლო სხვა ნაირად მისი სამსახური და ჩავარდა სასოწარკვეთილებაში.

მაშინ ღმერთმა უთხრა მოსეს: „რათ განმავორე ჩემგან ჩემი მორწმუნე მონა?

ყოველ კაცს თავის სხეული და თავის სიტყვა აქვს. რაც შენთვის არ ვარგა, იგი სხვისთვის კარგია. რაც შენთვის საწამლავია, იგი სხვისთვის ტკბილი თაფლია. სიტყვები არაფერს ნიშნავს. მე ვხედავ მის გულს, ვინც ჩემდამი ილტვის“. ეს ლეგენდა ძლიერ მომწონს მე და გთხოვ, მე ესე მიგულვებდე, როგორც მწყემსი. მე თითონაც ასე უყურებ ჩემ თავს. მთელი ჩვენი კაცობრივი წარმოდგენა მაზე (ღმერთზე) ნაკლულევანი იქნება ყოველთვის. არ ვატყუებ ჩემ თავს იმედით, რომ მეც ისეთივე გული მაქვს, როგორც იმ მწყემსს, და ამიტომ მეშინია დავჰკარგო, რაც მაქვს და რაც სრულ ბედნიერად მხდის.

თქვენ მირჩევთ შეუერთდე ეკლესიას. ვფიქრობ და მგონი არც ვსცდები, რომ მე არასოდეს არ განვმორებულვარ მას, ხოლო არა ერთ-ერთ იმ ეკლესიას, რომლებსაც განყოფილება შემოაქვთ, არამედ მას, რომელიც ყოველთვის აერთებს ყველას, ვინც გულწრფელად ეძიებს ღმერთს ამ მწყემსიდგან დაწყებული ბუდამდის. ლაოტზემდი, კონფუციმდი, ბრამანებამდი და მრავალ სხვა ადამიანებამდი. ამ მსოფლიო ეკლესიას მე თავისდღეში არ განვმორებვიარ და ყველაზე უფრო ამ ქვეყნად მე მეშინია, განვმორდე. ძალიან მადლობელი ვარ თქვენი ღმობიერი წერილისათვის და ძმურად გართმევ ხელს.

ლეონ ტოლსტოი.

რედაქციისაგან.

ასე რომ ვიაზროთ, ყოველი გარყვნილება, ზნე-დაცემულობა, ადამიანის სხვერპლად შეწირვა, საშეალო საუკუნეების ინკვიზიციები, ძველი დევნულება ქრისტიანებისა წარმართთაგან, დღევანდელი საფრანგეთის ეშმაკის კულტზეც. ე. ი. ყოველი საზიზღრობა, რომელიც კი ხდებოდა ან ხდება რელიგიის სახელით, უნდა მივიღოთ, როგორც შინაგანი გრძობის გამომეტყველება და ღირსი არსებობისა. თანახმა ვართ, რომ მწყემსი გულის-

წმიდით ლოცულობდა და სწამდა ის ღმერთი, რომელიც გრაფსა სწამს, მაგრამ რა დასაძრახია საელე, რომელიც იმავ ღმერთის სათნოყოფისათვის სდევნიდა ქრისტიანებს?



მარტო მიწა, თუ სწავლა ბანათლევა?

თუ ჩვენი მდაბიო ხალხის კულტურული პროგრესი, მარტო იმით არის მოსალოდნელი რომ მაღალი წოდების კუთვნილი ადგილ-მამული მათ კუთვნილებაში გადავიდეს, ამ ჩვენი საერო ბედნიერების მოახლოების წინამორბედი ნიშნები ყველასათვის ადვილად დასანახავი უნდა იყოს. უძრავი ქონება ე. ო. ადგილ-მამული, რომელიც შეადგენდა უმთავრესს საშვილიშვილო კაპიტალს ქართველთა ვად-აზნაურთა ქონებრივ დიდებისას, დღეს, როგორც ყველა ვხედავთ, სააღებ მიცემოსაგნად არის გადაქცეული; იგი უკვე გამოტანილია სავაჭრო მოედანზე. მუსტრის ადგილი საზოგადოდ ჩვენში, და განსაკუთრებით რაქა — ლეჩხუმის მაზრებში დაქერილი აქვს ადგილობრივ მკვიდრს გლეხკაცობას, ამ რომანიულად მოსიყვარულე შვილს დედამიწისას. მადლობა ღმერთს, ამ ვაჭრობაში მიწის შეძენის ინტერესით აღჭურვილს მიწის მუშა გლეხს ჯერჯერობით კონკურენტი, შემჯობრებელი არაფერია ჰყავს ჩვენს მაზრებში. რაქაში დ. ონში, და ლეჩხუმში ლაილაში, მართალია სცხოვრებენ რამოდენიმე კომლი ვაჭარი ხალხი, სომხები და ებრაელები, მაგრამ ამით თავიანთ კამერციის ტიბიკონში არ უწერიან ადგილ-მამულის სყიდვა-შეძენა და არც გამოდიან იმ სააღებ მიცემო მოედანზე, სიდაც უძრავი სავაჭრო ადგილ-მამული ისყიდება. სხვა გარეშე პირი ადგილ-მამულის მსყიდველი ჯერჯერობით ჩვენს მაზრებში არაფერია სჩანს, და ეს გარემოება, რასაკვირველია, ხელს უწყობს, შველის ადგილ-მამულის იაფად შეძენის საქმეში ჩვენს გლეხკაცობას. ჩვენს გლეხობას, რომ სიშვალეა ჰქონდეს

იაფის სარგებლით ფულის შოვნისა და იძულებული არ იყოს კერძო ფულიან მევახშეებს მიმართოს სესხის სათხოვნელად, რომლებიც დღესაც ურულ სარგებელს იღებენ, იმ შემთხვევაში გლეხებისაგან ადგილ-მამულის შეძენის საქმე ერთი ათად წინ წავიდოდა. მარტო კერძო ვაჭრობას, მცირე ზომის ადგილის შეძენას როდი-ლა სჯერდება ჩვენი გლეხობა, არამედ ერთდებიან, ჯგუფდებიან რამოდენიმე მეკომურნი და საერთოდ ყიდულობენ დიდ მამულებსაც. მაგალითად ამ რამოდენიმე ხნის წინათ ხვანჭკარის საზოგადოებაში მცხოვრებმა ას კომლზე მეტმა-გლეხობამ შეიძინა დიდი ზომის ტყიანი ადგილი თავად ყიფიანისაგან და ძალიან იაფადაც. აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის სოფ. ჟოშხაში მცხოვრებმა გლეხებმა იყიდეს ერთი მერვედი ნაწილი თავად გელოვანების კუთვნილ ტოლის მთისა, ესეც ღირებულობაზე თითქმის მეოთხედ ფასად. სულ ცოტა ხანია მას შემდეგ რაც ადგილობრივმა გლეხებმა კიდევ შეიძინეს განსაცვიფრებელი იაფად ზემო ხსენებულ გელოვანებისაგან ვრცელი მამული აღნიშნულს ტოლის მთაში. მაშასადამე, ის მწვავე საყვედური რომელიცისმის ბეჭვდით სიტყვით, ვითომც თავად-აზნაურობა მიწას, რომ ღირს, ერთი ორად მეტად უნდა უფასებდეს გლეხობას, რაქა-ლეჩხუმის მაზრებში მიინც სრულიად მოკლებულია ქეშმარიტების საფუძველს. ყურადღების მიპყრობის ღირსია ის გარემოება, რომ დროებით ვალდებულნი გლეხნი ისე მათდამი დებულეების ოქმით ნადელ ქვეშ მიცემულ ადგილ-მამულის გამოსყიდვას და შესაკუთრებას არა სცდილობენ, როგორც თავიანთ ნაბატონეის საკუთარ ადგილებს სყიდვა-შეძენას. მაგალითი არა ერთი და ორია რომ გლეხს უყიდნია მისი ნაბატონებისაგან იმზომი ადგილ-მამული, რა ზომასაც წარმოადგენს მისდამი ნადელად მიცემული და ეს უკანასკნელი კი დღესაც გამოუსყიდველი აქვს და იხდის დადგენილს ნადელს! — რასაკვირველია ამის მიზეზად ის უსაფუძვლო იმედები უნდა ვიგულისხმოთ, რომ უმეტესი ნაწილი მონადელე გლეხებისა გამსჭვალული იყვნენ და არიან დღესაც იმ

აზრით, რომ მათდამი მიჩენილ სანადგლო ადგილ-მამულს მთავრობა გამოიხსნის და მისცემს მათ მუქთად ანუ იგივე მთავრობა უფასოდ ჩამოართმევს შემამულეებს სანადგლო ადგილ-მამულს და მიასაკუთრებს გლეხობას პირველი აზრის განხორციელების იმედს ვერ იძლევა სახელმწიფოს სალაროს ფინანსიური სურათი, ხოლო მეორე აზრით რასაკვირველია ვერ იმოქმედებს მართლ მსაჯულება. მაშასადამე აუცილებელი საჭიროა ეხლა მაინც, როდესაც არსებული მდგომარეობა დროებითი ვალდებულობის ლიკვიდაციას ენერგიულად თხოულობს, ყოველივე ეს ზედმიწევნით გააცნონ, შეაგნებინონ ჩვენს ნადელს ქვეშე მყოფს გლეხობას, მოამრიგებელმა შუამავლებმა, რომ აღუსრულებელი ფანტაზიური იმედების მეოხებით თავიანთ საკუთარს მეცადინეობით გამოხსნა მათდამი მიჩენილ ადგილ-მამულისა და ნივთიერის მხრითაც სრულის დამოუკიდებელის თავისუფლების მოპოება არ შეუფერხდეს.

მიწის შექმნის მხრით რომ ჩვენი გლეხობა, ჩვენდბ სასიამოვნოდ დღითი დღე წინ მიდის ეს იქვე შეუკადრებელი ქვეშეარტებაა, მაგრამ არა გვეგონია, მარტო ეს იყოს საზრუნავი წაშალი ჩვენი გლეხკაცობის სოციალურ და კულტურულ მხრით მკვდრებით აღდგენისათვის, მის მოქალაქობრივის მხრით გაწრთენისა, განვითარებისა და ამაღლებისათვის. ვინ არ იცის რომ მარტო მიწის ქონებაზე არ არის დამოკიდებული ხალხის მსოფლიო ცხოვრებაში ხალხოსნური წინსვლა და მისი კულტურული მხრით წარმატება. ვინ არ იცის, რომ ჩვენი თანამედროვე სტიქიური დრო და ეამი, ჩვენი ხალხისაგან, რომ ამ უკანასკნელმა ცხოვრების გამუდმებულ ბრძოლაში თავი დაციოს და ეროვნული სიკოცხლე შეინარჩუნოს, მარტო მიწის ცენზს არ თხოულობს; არამედ მასთან ერთად კუა-აზროვნებისა და გამოსადეგ სწავლა-განათლებისაც. ამ მხრით კი, ჩვენდა საუბედუოდ, ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი ფართო მასა უკიდურესი ღარიბია. ჩვენი გლეხობა, როგორც უმაღლეს სწავლა განათლებას, მეცნიერებას, ფილოსოფიას,

მსოფლიო ისტორიას, მსოფლიო ლიტერატურას, ისე თავის დედა-ენაზე არსებულ წერაკითხვის ცოდნას არის მოკლებული; ჩვენმა ფართო მასამ არა იცის რა და არც შესწევს ღონე იცოდეს თავისი ეროვნული ისტორია, თავისი წარსული და მყოფი. ამის გამო რასაკვირველია იგი მოკლებულია განათლებულ თვით-აზროვნებას, თვით-შეგნებას, გათვითცნობიერებას, გონივრულ თვით-მოქმედებას. ჩვენი გლეხობა მოკლებულია, უვიცია ყოველ გვარ თანამედროვე ცხოვრებაში საჭირო და გამოსადეგ სწავლა-ცოდნასა. ჩვენი გლეხობის სწავლა განათლების ცენზს წარმოადგენს ერთი მხოლოდ ათასი წლის წინათ არსებული მიწის ხენა—თონის ცოდნა. ამის გარეშე სხვა დარგის მეურნეობის, მრეწველობის, ტექნიკის, კამერციის, ხელოვნების მათ არა იციან რა, არა ესმისთ რა; და რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხის კულტურული პროგრესი მარტო მიწის შექმნით არ არის მოსალოდნელი. თუ იმის წინააღმდეგ არა ქვეთქმის რა, რომ სწავლა მეცნიერებით გონება-აზროვნების გამდიდრება, არის სინათლე და გზა მიმყვანი ადამიანთა კრებულის ამ სოფლიურ ცხოვრებაში უმაღლეს ბედნიერებადმის, ხოლო უსწავლელობა, უმეცრება კი, სიბნელე და ჯოჯოხეთამდის მიმყვანი; იმ შემთხვევაში მეცადინეობა ჩვენი ერის შეგნებულის ნაწილისა მარტო იმაზე კი არ უნდა იყოს მიმართული რომ ჩვენმა გლეხობამ შეიძინოს მხოლოდ კუქის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საზრდოს მძლეველი მიწა, არამედ მაზედაც რომ ამ წოდებამ შეიძინოს, შეიარაღდეს თანამედროვე ცხოვრებაში საჭირო და სასარგებლო სწავლა-განათლებით. როგორც უკვე უწყით, ჩვენი ეროვნული აგებულების უმთავრესს ნაწილს, რიცხვის მხრით, წარმოადგენს გლეხკაცობა. მაშასადამე ყოველი გონიერი და ღრმად მოაზრე ქართველი, რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, როგორც მამულის შვილურის, ისე ადამიანურის სინიღისის მხრით მოვალეა ეცადოს ყოველი ღონით ჩვენი მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას და სწავლა-

განათლების მინიჭებას. ამის მოვალე რასაკვირველია ჩვენი ერის განათლებული ნაწილია. მაგრამ სამწუხაროდ მათ ამ დიდ მამულიშვილურ მოვალეობის შესრულების შესახებ ჯერ ენერგიული მეცადინეობა ვერ გამოუჩენიათ საქმით და აწი რას იზამენ ეს ღმერთმა უწყის...

ქაიხოსრო გელოვანი.



წაღმა-უკუღმა.

II.

მითხრათა კ. ჩუთასოფლელისა.

გაგრძელება¹⁾

—ჰოჰ! ჰოჰ! ჰოჰ! კირიმე მისი, მას ვენაცვალე!—წამოხტა და წამოიძახა ლიზამ.

—მერე—მერე, თუ ღმერთი გწამს,—შეკითხა მოსაუბრეს იორდანე.

—მერე არაფელი; №-ს ბოთლიკაზე წამოუსვია ხელი, ნდომებია თავადის გალახვა, მაგრამ კ.—ს ერთი ისეთი უბღვერია კამეჩით, რომ შიშის ზარი დაუტია იქაურებისათვის; №-ს ბოთლი ხელიდან გაგარდნია და გაქცეულა და სტოლიც მითი დაშლილა.

—მაღადეც, მაღადეც, მე და ჩემმა ღმერთმა! ერთი ფეშქაშები უნდა დავამზადო იმისთვის.—სტკვა იორდანემ.

—პაპა შენ გენაცვალე, ხვალ სადილოთ დავპატივით და ფეშქაშები მე მიმაცემი; საკადრის სიტყვისაც ვეტყვი შენ ნუ მომიკედები.—გრძნობით უთხრა ლიზამ.

—არა შეილო, ხვალ იმას არ ეცლება; ჩვენს გარდა სხვაც ბევრი ეყოლება იმას პატივის მცემელი... ხომ გაგიგონია:—„დიდი კაცის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.“—აჩქარება არაფელში არ ვარგა.—ღმილით უთხრა იორდანემ.

ლიზას ხმა არ ამოუღია, მაგრამ მთელი

ის ღამე სულ იმ თავადის მადლობაში გაატარა.

ერთ დღეს ლიზას რაღაც მოწყენა დაეტყო, მთელი ის დღე უსიამოვნოდ გაატარა, რაც მისმა დედამ ავადმყოფობას მიაწერა. საღამოს ეამს ის შევიდა თავის საწოლ ოთახში, ააწყო გიტარა, ნაზად ჩამოჰკრა თითები სიმებს და საამურის ხმით დაამღერა:

„მწუხარე და სევდიანი
სერზე იდგა ერთი ქალი,
ფერ-მიხდილსა მღვლეარებით
შორს ექირა გზისკენ თვალი.

მას უნდოდა, რომ შეეტყო მისი ქვეყნის ბედის—წერა; შიკრიკს მოჰკრა შორით თვალი და დაუწყა გულმა ძგერა.

მიიძახა ახლოს მოსულს:

—„ნუ დაჰფარავ ნურაფერსო, თორემ ბოლოს გაზღვევინებ, გეფიცები ზეციერსო!“

წინ წამოდგა მონა ბიჭი, ტირილითა მოახსენა:

—„ვამ ჩემს თავს!... სჯობს დამეგას ცოდილი და მწარე ენა!“

ვხედავ, შენზე უჩხავლია შეე-ბედითსა ყორანს შავსო! რაღა გითხრა მე საბრალომ შენ შეილების დამკარგავსო?“

ქალმა უთხრა:—„სუ!.. არ გკითხავ! ჯერ მითხარი შენ ესაო: თათრებს დარჩა გამარჯვება, თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო?“

—„მე რა ბრძანეთ?!.. ქართველ ჯარსა განა სძლევდა თათარიო? თვით არ შივა და, მოსულს მტერს რომ დაუხედეს, მზად არიო!“

ზარი დასცეს სერასქირსა, არ მოსულა ჯერაც გონსა! ქართველები ღმერთს მადლობენ

¹⁾ იხ. „ზინაური საქმიანობა“ № 32.

ადიდებენ სოლომონსა!“

ქართველის ქალი პირჯვარს იწერს:
— „მადლი ზენა ქართველებსო!
აბა ახლა მომიყევი,
რაც გადახდა ჩემს შვილებსო.“

— „შენი პირმშო აღარა გყავს:
აღექსანდე მოგიკლესო;
უმკროსი ძმა მიეშველა,
იმასაც ღლე უმოკლესო.“

თათრის ტყვიამ გაუხვრიტათ
ორთავ გულის ფიცარიო;
მოკვდენ, მაგრამ სახელი კი
ნახეს დაუვიწყარიო!..“

ღედას ცრემლი უნებურად
წამწამებზედ შეუჩერდა;
ნაცრის ფერი გადაედვა,
გული ხშირად აუძგერდა.

მაგრამ ეს სთქვა:— „გამიზრდია
ქართველ ქალსა ქართველის შვილი!
ეს ნალველი ღედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!“

მამულისთვის მიშობია,
მისი ქირის სანაცვალოთო;
ქართველ ღედებს ვალად გვაძევეს,
ამ ქირს უნდა გაუძლოთო.“

ესა სთქვა და ისევ ჰკითხა:
— „საშუალოა რაღა ქნაო?
ამოიგო ძმების სისხლი?
თათრის შპორის დასდგა ძნაო?“

— „არა, ჩემო ქალბატონო,
ვერ გავბედავ ტყუილსაო;
ვგ სახელი არ უნახავს,
ქალაჩუნა თქვენს შვილსაო!“

უფროსი და უმცროსი ძმა
მტრის რაზმში რომ გაჰკიოდა,
საშუალო ტყეში იწვა:
გულ-მუცელი ასტიოდა.“

ეს რომ ესმა, ქართველის ქალი
უცნაურათ დაიღრიჯა,
ამოჰყარა ძუძუები,
მოთქმით თავი მოიგლიჯა:

— „ვინ ლეჩაქს შერცხვენილსა,
ვაძ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვინ ღედას თითქის პირ-შავს,
რა მახვილი მეცა გულსო!“

~~არა~~ ესტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
უსახელოდ... ვირულადო!“

როცა ლექსი გაათავა, გიტარა ფრთხილად ჩამოდვა ლოგინზე და თვალები აუცრემლიანდნენ.— „ოხ, ღედა! ღედა!— წამოიძახა მან,— ორ შვილს არ ტირის, რომელთაც ტყვიამ გული გაუხვრიტა და მესამეს ტირის და იგლოვს, რომელსაც სამშობლოს დასაცველად ომში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ცოცხალი კი შერჩენია ბედ-კრულ ღედას!! სადღაა ღედეს ასეთი ღედები!? ღდე-ვანდელ ღედას ათი შვილიც რომ ჰყავდეს, არა თუ ერთ-ერთ მათგანს არ განწირავს სამშობლოსათვის, თითოეული მათგანის ნეკის შემოსავლებელადაც არ დაზოგავს საქართველოს!! ბედ-კრულო სამშობლო! რაწამს შენ დაგიკარგავს შენებურობა, შენს შვილებსაც ამოუსუნთქავთ და კვლავ აღარ ჩაუსუნთქავთ ის დიდებული სული, რომელიც შეადგენდა ქართველების სიამაყეს და რომელიც მტერსაც კი ეხარბებოდა შენი შვილებისათვის!...“ რამდენად უფრო ჩაუფიქრდა ლიზა ლექსს, იმდენად უფრო აღიტაცა ის „ქართველი ქალის“ სულ-მალლობამ და რამდენადაც აღტაცებას გრძნობდა, იმდენად მწუხარებამ მოიცვა მისი სული, რამაც ნაყოფად ცხარე ცრემლები გადმოადინა თვალთაგან... მან თავი ვერ შეიმაგრა, გული ამოუჯდა და, ცოტა ხნის შემდეგ, მწარე ქვითინის ხმა გაისმა ოთახში. ღედამ ყური მოჰკრა შვილის ტი-

რილს და შურდულივით გაექანა მისკენ. როცა მან მტირალი ლიზა ნიხა, იმასაც თვალგზისი კრემლები მოერია. — „ეგ რა ამბავია შეილა? — შწუხარებით ჰკითხა მან შეილს, — რა გატირებს, რა გეიგე? ვინ შემიწუხა, ვინ ამიტირა შენი თავიო“ და მოეხვია შეილს. ლიზამ დედაც მტირალი რომ ნახა, გამოერკვა და გიჟივით გაიცილა. „არაფელია დედა, — უპასუხა მან, — აკაკის ლექსი დავამღერე გიტარაზე და იმან ამიტირა; შენც რომ წეკითხო დედა, დარწმუნებული ვარ, შენც იტირებ; შენ რამ შეგაწუხა დედი! მე არაფელი მაწუხებს, ნუ გეშინია!...“ — „ახირებული ხარ შენ ნუ მომიკვდები! ვინ შენ და ვინ ამდენი წიგნის კითხვა და მაზე ტირილი? — საყვედურით მიმართა დედამ შეილს; — შეიბრაღე შეილო მშობლები! შენზე ამოგვდის მზე, შენს მეტი არავინ გაგვანია და შენ კიდევ რაღაც სულელური ტირილით ისუსტებ თავს!...“

— არა დედი, არა, აწი არ ვიტირებ, — გრძნობით უთხრა შეილმა დედას, — გაუყარა მკლავი მკლავში და გამოვიდნენ ოთახიდან.

ლიზას ამგვარმა საქციელმა სხვა ექვები დაუბადეს ქრისტინას, რაც მან ქმარსაც გაუზიარა, რაზედაც თვით იორდანეც დარწმუნდა და ლიზას გათხოვებაზე ზრუნვა შეუდგა.

ქ. წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).



სიტყვა

თქმული ჭაფნაბრის უკუხასიასა შინა, აქამსა საბწყსთსა შნა შესულისასა, 1910-სა წ. თუ-ცომბრის, 31-სა, დღესა.

კაცად — კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს. 3, 5 ე.

ვცან რა ნება დეთისა და განჩინება უმაღლესის მთავრობისა, რათა ვიყო მე მწყემსად სოფლისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა,

ვიწყე გულის ზრახვად დიდთა მათ და მძიმეთა ვალთა თვის, რომელთა ამიერითგან თანამდებვარ ტვირთვად წინაშე წმიდისა ამის ეკლესიისა, მაშინ მოვიხსენე სიტყვანი ჰავლე მოციქულისანი; კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს.. ხოლო რა ტვირთი არის მღვდელობა, ამასაც ახსნის იგივე მოციქული: „ჯერ არს მღვდლისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემკული სტუმარი მოყვარე. სწავლულ, ნუ თავხედ, ნუ გულმწყრალ, ნუ მელვინე, ნუ მოლაღე, ნუ საძაგელისა შემძინელ, არამედ კეთილისმოყვარე, წმიდა, მართალ, ღირს, მომთბინე, (ტ. ა. ზ.). მეორედ, მღვდელს მართებს სიტყვისამებრ ჰავლე მოციქულისა, რათა იყოს ფრთხილ; კაცი უფრთხილდება მხოლოდ ერთს თავს გარნა მღვდელი ათასსა და ბევრეულსა. მიანდო რა მას ღმერთსა სიტყვიერი სამწყსო, ვაი იმ მღვდელს, რომელმაც დაუდევნელობითა თვისითა დაუკარგა ღმერთსა რაოდენიმე სული გამოსყიდული სისხლითა უფლისათა! გვედრები, შორს ჰყავ ჩემგან, მაცხოვარო, მწარე ესე განსაცდელი! გთხოვთ თქვეცა, საყვარელნო ძმანო ჩემნო არ დამიძიმოთ, არამედ აღვისუბუქოთ მსახურება ჩემი; მსახურება მღვდლისა მით უმეტეს ძნელ არს, რომ ყოველნი მორწმუნენი მარადის მას უმზერენ, მისგან ელიან მოძღვრებასა და სულიერსა სწავლასა; არ ძალუძს მას დაფაროს რომელიმე თვისი თვისება, ანუ მოქმედება, ვითარცა სანთელი აღნთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა, ნათობს გარემო თვისისა და სჩანს შორიდგანვე. ხოლო ცხოვრება და ყოფა ქცევა უღირსისა მღვდლისა ემსგავსება საკვამლესა, სახლის სართულსა ზედა ატანილსა, რომლითგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჰაერსა და სჩანს შორიდგანვე.

ამისთვის მღვდელი მარტო ვერც სცხონდება და ვერც წარწყმდება; კეთილი მღვდელი აცხონებს მრავალთა, ხოლო უღირსი წარწყმდეს უმრავლესთა. გარნა რას იტყვის უფალი იესო ქრისტე ცუდთა და მაცუთუნებელთა კაცთათვის? „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდამომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოთუიკიდოს წისქვილის ქვა

და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა (მათ. იბ. ვ); და თუ ესრეთ არს თქმული ყოველთა უბრალოთა დამაბრკოლებელთა კაცთა ზედა, რაილა უნდა ვსთქვათ მღვდელსა ზედა, რომელიც დამწყისისა წილ დააბრკოლებს მოწმუნეთა; ხოლო კეთილნიცა და ღირსნი მღვდელნი ზოგჯერ ვერ განერინებიან გესლიანსა ენასა ბოროტთა კაცთასა.

არა უმიზეზოდ ვიტყვი, ძმანო, ამას ყოველსა; უმიზეზოდ ვცდილობ გამოვბატოთქვენ თქვენ წინაშე სიმძიმე მომავალისა მსახურებისა ჩემისა. განზრახეა ჩემი მას შინა მდგომარეობს, რათა აღვადგინო გულსა შინა თქვენსა მონაწილეობა და თანამგრძობელობა ჩემისა მსახურებისა, რათა იყოთ თქვენცა ყოველნი შემწედ და აღმასრულებელ ტვირთისა ჩემისა. საგანი ანუ აზრი მსახურებისაა ჩემისა არისსულიერი წარმატება თქვენი.

ესთხოვ ჩემს სასოება მაცხოვარს და ღვთის მშობელ დედას, ამ სამწყსოში გაღმოსვლა ჩემი იყოს ბედნიერი, რომ თქვენ იქნეთ დაფარული ყოველი გაჭირვებისაგან, ცუდი სენისა და უცნაური სიკვდილისაგან; მოგცესთ ღმერთმა შეზავებული ჰაერი, ნაყოფი კეთილი და ამასთან ჩვენში იყოს სიყვარული, მშვიდობა და მოთმინება, მე ვიყო ნამდვილი სულიერი მამა და მოძღვარი, და თქვენ კეთილნი მოწაფენი ჩემნი, და წარმდგარვიყო უკანასკნელ განკითხვის დღეს უულის წინაშე და მეთქვას „აჰა მე და ცხოვარნი ჩემნი“ ამინ.

მღვდელი თომა დემეტრაძე.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადებანი

„შინ. საქმეების“
რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (Вѣдомости) წლიური საბლანოჩინო ანგარიშისათვის. ბლანკები ძმობის გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასობ ლანკებისა რწყვილი 5 კ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—წყილი 4 კ. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღრესით:

Кутаисъ Правленіе религиозно-просвѣтительнаго братства.

Ольденбургская д. № 5

ვამზადებ

სამღვდელთა და საღიაკვნო

საგნეუში,

აგრეთვე

სამმასწავლებლებლთ

ეგზამენის ასატებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკთვის ქუჩა, № 17.

